



## სპეციალური ანგარიში

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების  
მონიტორინგის შედეგები

თბილისი

2020

# სარჩევი

შესავალი .....	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია.....	4
ძირითადი მიგნებები .....	4
1. ინფრასტრუქტურა .....	6
1.1 შენობის ფიზიკური გარემო .....	6
1.2 სველი წერტილები .....	9
1.3 ინვენტარი და სათამაშოები .....	12
2. კვება .....	14
3. წყალი, სანიტარია და ჰიგიენა .....	16
3.1 წყალი .....	16
3.2 სანიტარია-ჰიგიენა .....	17
4. ჯანდაცვა.....	20
5. ბავშვთა მიმართ ძალადობა.....	22
6. ადამიანური რესურსები .....	24
დასკვნა .....	26
რეკომენდაციები.....	27

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი არის სპეციალური ანგარიში, რომელიც 2019 წლის აპრილიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის, „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება“, ფარგლებში, საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის შედეგებს ასახავს.

მონიტორინგის ამოცანა იყო, დაედგინა, საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამდენად შეესაბამება ბავშვის უფლებათა დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

2019 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 1481 საჯარო საბავშვო ბაღი, რომლებშიც ირიცხებოდა 150.930 აღსაზრდელი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა მოიცვა თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის 51 მუნიციპალიტეტის ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში, მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში არსებული, 143 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება.

მონიტორინგის შედეგებმა გამოავლინა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2014 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგებთან<sup>1</sup> შედარებით, აღნიშნულ დაწესებულებებში სიტუაცია გაუმჯობესდა, ძირითადად, აღსაზრდელთა ჯანსაღი და დაბალანსებული კვების, ასევე, სპეციალური კვებითი საჭიროებების კუთხით, რაც უდავოდ წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული საქმიანობის მიუხედავად, საბავშვო ბაღებში კვლავ გამოწვევად რჩება მთელი რიგი საკითხები, რაც შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს. ეს უმთავრესად ეხება სკოლამდელ დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და სასწავლო და სააღმზრდელო ინვენტართან და ეზოების კეთილმოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს; კვლავ პრობლემას წარმოადგენს საბავშვო ბაღების გადატვირთულობა და კადრების არასაკმარისი რაოდენობა. გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, გადასახედა საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ანაზღაურება და მათი პროფესიული გადამზადების საკითხიც.

---

<sup>1</sup> 2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის, „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება“, ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგი.

ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/geo/190307051819angarishebi/specialuri-angarishi-skolamdeli-saagmzrdelo-dawesebulebebis-monitoringis-shesaxe>

## მონიტორინგის მეთოდოლოგია

სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი ჩატარდა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში და ეფუძნებოდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და დადგენილ სტანდარტებს.<sup>2</sup>

საწყის ეტაპზე შემუშავდა მონიტორინგის მეთოდოლოგია და კითხვარები საბავშვო ბაღების გაერთიანებათა და საბავშვო ბაღების ხელმძღვანელების, ასევე, დაწესებულების აღმზრდელთათვის. სტატისტიკოსის მონაწილეობით განისაზღვრა შესამოწმებელი დაწესებულებების რაოდენობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. მონიტორინგის მეორე ეტაპი მოიცავდა საველე სამუშაოებს. გაიმართა შეხვედრები საბავშვო ბაღების გაერთიანებებისა და საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებთან, აღმზრდელებთან; დათვალიერდა საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემო.

საველე სამუშაოების ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა საბავშვო ბაღის 216 აღმზრდელთან, 136 დირექტორსა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების 45 ხელმძღვანელთან. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტმა ინდივიდუალური საქმისწარმოება დაიწყო მონიტორინგის ფარგლებში გამოკვეთილ ბავშვის უფლებების დარღვევების 45 სავარაუდო შემთხვევაზე, ხოლო ექვს შემთხვევაზე საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაცია გამოსცა.

საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემები დაამუშავეს სტატისტიკოსმა და სტატისტიკის ანალიტიკოსმა, რის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე სპეციალური ანგარიში და სახალხო დამცველის რეკომენდაციები.

## ძირითადი მიგნებები

---

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია; გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 2016; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის №485 დადგენილება; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულებების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის №487 დადგენილება; ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის №01-21/ო ბრძანებით დამტკიცებული წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის მონიტორინგის ინსტრუმენტი.

- მუნიციპალიტეტების მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, საბავშვო ბაღებში კვლავ გამოწვევად რჩება არასაკმარისი სივრცის საკითხი, რაც შეუძლებელს ხდის შენობაში ყველა საჭირო დანიშნულების ოთახის მოწყობას და ბავშვების რაოდენობის შესაბამისი ფართობის გამოყოფას. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას იმ საბავშვო ბაღებში, რომლებიც არასტანდარტულ შენობაშია განთავსებული;
- ერთეული გამონაკლისების გარდა, საბავშვო ბაღები არ არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფენ მათ სრულფასოვან ჩართულობას;
- მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბავშვო ბაღების აბსოლუტურ უმრავლესობაში ეზოები არ არის ბავშვების განვითარების, გართობისა და დასვენებისთვის მოწყობილი, არ არის საჭირო სივრცე და ინვენტარი, რაც შესაძლებელს გახდიდა ბავშვებისთვის სხვადასხვა აქტივობის ჩატარებას. ამასთან, ეზოების ნაწილი იმგვარადაა შემოღობილი, რომ შეუძლებელია უცხო პირთა შესვლის გაკონტროლება და დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვა;
- საბავშვო ბაღებში საყურადღებოა აღსაზრდელთა რაოდენობის შესაბამისი ინვენტარის არარსებობის საკითხი, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს საძინებლების, სააღმზრდელო და სასადილო ოთახების საჭიროებების თვალსაზრისით;
- მონიტორინგის პროცესში, დაწესებულებების ვიზუალური დათვალიერებისა და აღმზრდელებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბავშვო ბაღები იშვიათად მარაგდება აღსაზრდელთა ასაკისა და რაოდენობის შესაბამისი სათამაშოებით. ეს კი აფერხებს სხვადასხვა თემატიკის აქტივობების განხორციელებას;
- მუნიციპალიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საბავშვო ბაღებში კვლავაც ვერ ხერხდება სველი წერტილების აღსაზრდელთა რაოდენობისა და ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად მოწყობა; სველი წერტილებისთვის არ არის გამოყოფილი აღსაზრდელთა რაოდენობის შესაბამისი ფართობი და ინვენტარი. ამასთან, საბავშვო ბაღების ნაწილში კვლავ გამოწვევად რჩება სველი წერტილების თბილი წყლით უზრუნველყოფის საკითხი;
- მონიტორინგის პროცესში აღმზრდელებთან და საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ დიდ ნაწილს არ გაუვლია გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე; ისინი არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ, რაც აბრკოლებს ძალადობის შემთხვევათა გამოვლენასა და მათზე დროულ რეაგირებას;
- საბავშვო ბაღების 34%-ში ირიცხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელი, თუმცა მათგან მხოლოდ 14.2%-ს ჰყავს სპეციალური პედაგოგი. საბავშვო ბაღის

თანამშრომელთა განცხადებით, აღნიშნული კადრის საჭიროება რეალურად, ბევრად დიდია, თუმცა ხშირ შემთხვევაში, თავად აღსაზრდელთა მშობლები არიან შვილებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მინიჭების წინააღმდეგნი. ბავშვის საჭიროების უგულებელყოფის მიუხედავად, მშობლებთან კონფრონტაციის თავიდან არიდების მიზნით, სოციალურ მუშაკს არც საბავშვო ბაღის თანამშრომლები მიმართავენ გარდა უკიდურესი მდგომარეობისა, როდესაც თავად ვეღარ მართავენ აღსაზრდელის ქცევას;

- ირკვევა, რომ პრობლემურია მცირეწლოვნებისთვის საბავშვო ბაღების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხიც; სოფლების მხოლოდ მცირე ნაწილიდან (13,75%) თუ ხერხდება აღსაზრდელის ტრანსპორტირება ახლომდებარე საბავშვო ბაღში. გარდა იმისა, რომ ტრანსპორტირებას აბრკოლებს მუნიციპალიტეტის რელიეფი, კლიმატი და სოფლებს შორის დიდი მანძილი, დამაბრკოლებელი ფაქტორია მუნიციპალიტეტების მიდგომაც, რომლის მიხედვითაც, ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის არსებობა უკვე არის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გარანტია იქ მცხოვრებთათვის, ხოლო აღსაზრდელთა ტრანსპორტირება არც იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ ადმინისტრაციული ერთეული არაერთ სოფელს აერთიანებს.

## 1. ინფრასტრუქტურა

### 1.1 შენობის ფიზიკური გარემო

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სახელმწიფო სტანდარტის თანახმად, საბავშვო ბაღებში არსებულმა ფიზიკურმა გარემომ უნდა უზრუნველყოს თითოეული ბავშვისა და თანამშრომლის ფიზიკური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა. შენობის ფიზიკური გარემო უნდა იყოს უსაფრთხო, კომფორტული და ყველასთვის ადვილად გამოსაყენებელი. დაწესებულების, როგორც შიდა სივრცე, ისე ეზო, სასწავლო-სააღმზრდელი პროცესის მეთოდოლოგიისა და მიზნების შესაბამისად უნდა იყოს მოწყობილი. ხოლო შენობის სივრცის გადანაწილება ხელს უნდა უწყობდეს თითოეული ბავშვის სრულფასოვან და მრავალმხრივ განვითარებას. უზრუნველყოფილი უნდა იყოს აღსაზრდელის პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა, ძილისა და დასვენების საჭიროებების დაკმაყოფილება. ამასთან, აღსაზრდელს უნდა ჰქონდეთ თამაშის შესაძლებლობა, როგორც საბავშვო ბაღის ეზოში, ისე შენობის შიგნით.<sup>3</sup>

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურული მდგომარეობა. მონიტორინგმა დაათვალიერეს საბავშვო ბაღების ეზოები, შენობები, კვების ბლოკები, სათავსოები, სველი წერტილები, სააღმზრდელი და საძინებელი სივრცე, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ საბავშვო ბაღების აბსოლუტური უმრავლესობა განთავსებულია მაგისტრალიდან და სხვა სახის დამაბინძურებელი წყაროდან

<sup>3</sup> ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი, 2017 წ. მუხლი 13


მომორებით. შემოწმებული საბავშვო ბაღების 53.8%-ის შემთხვევაში, საბავშვო ბაღის ფიზიკური გარემო საჭიროებდა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. კერძოდ, 19.2%-ში დაზიანებული იყო კედლები და იატაკი, ხოლო, შემთხვევათა 3.8%-ში შეკეთებას საჭიროებდა შენობის ელექტროგაყვანილობა. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც შენობის კედლები, ქერი და იატაკი ისე იყო დაზიანებული ნესტისგან, რომ გაუსადღისს ხდიდა ოთახში სუნთქვას. გამოვლინდა იატაკის დაზიანების, ლურსმნების ამოსვლის, ფილების ჩავარდნის შემთხვევებიც, რაც საფრთხის შემცველია აღსაზრდელთათვის. რამდენიმე შემთხვევაში (4.5%), განსაკუთრებით სოფლებში, გათბობის ცენტრალური სისტემის არარსებობის გამო, საბავშვო ბაღებში შემის ღუმელს იყენებენ, თუმცა გათვალისწინებული არ არის უსაფრთხოების ზომები.

კვლავ გამოწვევად რჩება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა ისეთ არასტანდარტულ შენობებში განთავსება, რომელთა გარემოც სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე არ არის მორგებული. შემოწმებული საბავშვო ბაღების 15.4% ფუნქციონირებს არასტანდარტულ შენობაში, კერძო სახლში ან მის მხოლოდ რამდენიმე ოთახში, საცხოვრებელ კორპუსში, ძველი ამბულატორიის თუ საკრებულოს შენობაში.<sup>4</sup> ამასთან, ზოგადად, საბავშვო ბაღების შენობებში არასაკმარისი ფართობით გამოწვეულ გადატვირთულობაზე საბავშვო ბაღების გაერთიანებათა დიდი ნაწილი (62.1%) მიუთითებს. განსაკუთრებით მწვავეა საბავშვო ბაღში არასაკმარისი ფართობის გამო სააღმზრდელო ოთახების სააღმზრდელო, სასადილო, საძინებელი და გასახდელი დანიშნულებით გამოყენების საკითხი, რაც ძალიან ართულებს სააღმზრდელო პროცესში მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებას. ამასთან, საბავშვო ბაღების დიდ ნაწილში (54%) არ არის, ხოლო 27%-ში მხოლოდ ნაწილობრივ არის უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკური ხელმისაწვდომობა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საბავშვო ბაღის შესასვლელი უზრუნველყოფილია პანდუსით, შენობის შიდა ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს. მაგალითად, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ზეიმებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დარბაზი, მუსიკის გაკვეთილისთვის განკუთვნილი ოთახი განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე, თუმცა შენობის შიდა კიბეები არცერთ საბავშვო ბაღში არ ყოფილა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელებისთვის, ლიფტი კი მხოლოდ ერთ, ახალშენებულ შენობას ჰქონდა, რაც აფერხებდა ბავშვების სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობას.

გარდა ამისა, განსაკუთრებით პრობლემურია საძინებელი ზონებისთვის სათანადო სივრცის გამოყოფის საკითხიც. საკმარისი ფართობის არარსებობის გამო, საბავშვო ბაღების 10.7%-ში მხოლოდ 2-3 წლის ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელებს აძინებენ, ხოლო შემოწმებული საბავშვო ბაღების შენობების 3.7%-ს საერთოდ არ ჰქონდა საძინებელი ოთახი. ერთგან, საძინებელი სივრცე საბავშვო ბაღის დირექტორის კაბინეტში იყო მოწყობილი. სათანადო ფართობის არარსებობის გამო, შემოწმებული დაწესებულებების 13.3%-ში საძინებელ ოთახში საწოლები ერთმანეთთან და ფანჯარასთან ძალიან მჭიდროდ ან არასაკმარისი რაოდენობით იყო განლაგებული.

---

<sup>4</sup> თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საბავშვო ბაღი.




საბავშვო ბაღებში განსაკუთრებული პრობლემაა დაწესებულების ეზოს სათანადოდ მოწყობა. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, ვიზუალური დათვალიერებისას აღმოაჩინეს, რომ შემოწმებული დაწესებულებების საკმაოდ დიდ ნაწილს (45.5%) ეზო საერთოდ არ აქვს ან მხოლოდ ნაწილობრივია მოწყობილი აღსაზრდელთა გართობისა და დასვენებისთვის ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ინვენტარის უსაფრთხოების, მათი აღსაზრდელთა ასაკთან, სიმაღლესა თუ სხვა პარამეტრებსა და საჭიროებებთან შესაბამისობა. ყველაზე პრობლემური აღმოჩნდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართულობის უზრუნველყოფა, ინვენტარის, საქანელებისა და სათამაშო მოედნების მოწყობისას მათი საჭიროებების გათვალისწინება. ზოგიერთ შემთხვევაში კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს საბავშვო ბაღის ეზოში არათუ დასვენება და გართობა, არამედ გადაადგილებაც კი დაბრკოლებებს შეუქმნის.

გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საბავშვო ბაღი ეზოს სხვა დაწესებულებასთან, მაგალითად, ამბულატორიასთან, გამგეობის წარმომადგენლის ოფისთან, სკოლასთან ან ეკლესიასთან იზიარებს, რის გამოც ვერ ხერხდება სათამაშო მოედნის მოწყობა და ყველა იმ აქტივობის განხორციელება, რომელიც არასრულწლოვანთა განვითარებისთვის არის საჭირო. გარკვეულ შემთხვევებში კი, საბავშვო ბაღის ეზო შემოუღობავი, ტერიტორია კი, უცხო პირთაგან დაუცველი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ საბავშვო ბაღების ნაწილს, სადაც მონიტორინგი ჩატარდა, ან საერთოდ არ აქვს ეზო (4 საბავშვო ბაღი), ან არ აქვთ სათამაშო სივრცე (33.3%). ასეთ შემთხვევაში ბავშვები მხოლოდ აივანზე გაჰყავთ. თუმცა, აღმზრდელთა განცხადებით, იმის საპირწონედ, რომ ბავშვები სუფთა ჰაერზე ვერ გაჰყავთ, ცდილობენ, ოთახები მაინც გაანიავონ ხშირად. პრობლემა



განსაკუთრებით მწვავეა იმ საბავშვო ბაღებში, რომლებიც საცხოვრებელ კორპუსშია განთავსებული. ასეთ შემთხვევაში, აღმზრდელებს ბავშვები ახლოს მდებარე სკვერში გაჰყავთ.

ცხრილი №2



მიღებული ინფორმაციით, საბავშვო ბაღის გაერთიანებები ადგენენ ინფრასტრუქტურული მდგომარეობისა და სააღმზრდელო გარემოს გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გეგმას, რომელიც ძირითადად, შენობის ძირეულ და კოსმეტიკურ რემონტს, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, კვების ბლოკის სათანადოდ მოწესრიგებასა და ეზოების კეთილმოწყობას უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ გაერთიანებათა უმრავლესობის (58.1%) განცხადებით, დაგეგმილი სამუშაოები წარმატებით სრულდება. ამავე დროს, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც სამუშაოები გეგმით გაწერილ დროში ვერ დასრულდა. ხელშემშლელი ფაქტორების დასახელებისგან რესპონდენტებმა ძირითადად, თავი შეიკავეს, თუმცა მათმა ნაწილმა არასაკმარის ფინანსებზე მიუთითა, რაც იმას გულისხმობს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სახსრები არ აკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს და პრიორიტეტებიც შესაბამისად განისაზღვრება.

1.2 სველი წერტილები

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების თანახმად, საბავშვო ბაღის ფიზიკური გარემო თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებას უნდა იძლეოდეს. კერძოდ, საპირფარეშო სათანადოდ აღჭურვილი, სუფთა, და თითოეული

აღსაზრდელობისთვის, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის, ხელმისაწვდომი უნდა იყოს.<sup>5</sup>

საბავშვო ბაღების გაერთიანებების წარმომადგენლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტი საბავშვო ბაღებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისას, ყურადღებას აქცევს სველი წერტილების მოწესრიგების საკითხს და გაერთიანებების ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების ყველაზე მეტი ხვედრითი წილი (29.5%) სწორედ სველი წერტილების შეკეთება-მოწესრიგებაზე მოდის. თუმცა, მონიტორინგის პროცესში სველი წერტილების ვიზუალური დათვალიერებისა და თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული სამუშაოების მიუხედავად, სველი წერტილები დადგენილ სტანდარტს არ შეესაბამება.<sup>6</sup>

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში (88.7%), აღსაზრდელობის განკუთვნილი სველი წერტილები განთავსებულია შენობის შიგნით, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში - შენობასთან ახლოს, სოფლად, საბავშვო ბაღის ეზოებში მოქმედებს ერთი საპირფარეშო, სადაც ერთი ან ორი თურქული ტიპის ჯამია განთავსებული. ამასთან, საბავშვო ბაღების დიდ ნაწილს საერთოდ არ აქვს, ან მხოლოდ ზოგიერთ ჯგუფში აქვს საკმარისი რაოდენობის უნიტაზი. ასევე გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც საბავშვო ბაღში რამდენიმე ჯგუფს არ ჰქონდა მისთვის განკუთვნილი საპირფარეშო, რის გამოც ისინი საბავშვო ბაღის პერსონალისთვის განკუთვნილი სველი წერტილით სარგებლობდნენ.


### *ცხრილი №3*

---

<sup>5</sup> ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017 წ. მუხლი 13, მუხლი 15.

<sup>6</sup> ტექნიკური რეგლამენტის - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის დადგენილება №485, მუხლი 9 - ერთი უნიტაზი ყოველ 10-12 გოგონაზე; ერთი უნიტაზი ყოველ 10-20 ბიჭზე; ერთი პისუარი ყოველ 20 ბიჭზე; ერთი ხელსაბანი ყოველ 20 ბავშვზე. ტუალეტის კაბინის ზომები უნდა იყოს 80×110 სმ, ხელსაბანი ნიჟარები უნდა იყოს 55,5 სმ.

## უნიტაზების რაოდენობის თანაფარდობა აღსაზრდელთა რაოდენობასთან



კვლევამ გამოავლინა ისეთი შემთხვევა, როდესაც 2-3 წლის ასაკის ჯგუფის საპირფარეოში საერთოდ არ იყო მოწყობილი კანალიზაციის სისტემა და აღსაზრდელებს მშობლების მოტანილი ღამის ქოთნებით უხდებოდათ სარგებლობა. გამოვლინდა უნიტაზების დასაჯდომის დაზიანებისა და ჩარეცხვის მოწყობილობის გაუმართაობის რამდენიმე შემთხვევა. ამასთან, დაწესებულებების 5% საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი თბილი წყლით, ხოლო 25.5%-ში ეს საკითხი მხოლოდ ნაწილობრივ არის მოწესრიგებული. რამდენიმე შემთხვევაში, საბავშვო ბაღში მხოლოდ კვების ბლოკს მიეწოდებოდა თბილი წყალი, აღსაზრდელებს კი ცივი წყლით უხდებოდათ სარგებლობა. ასევე გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც შენობაში თბილი წყლის სისტემის არარსებობის გამო, წყალს სააღმზრდელო ოთახში, შემის ღუმელზე, სათლებით აცხელებდნენ, მაშინ, როდესაც ოთახში აღსაზრდელები სხვადასხვა აქტივობაში იყვნენ ჩართულები.

პრობლემაა გოგოების და ბიჭების განცალკევებული საპირფარეოებისთვის დამოუკიდებელი სივრცის გამოყოფის საკითხი. კერძოდ, საბავშვო ბაღების 67.9%-ის არცერთ საპირფარეოში არ არის განცალკევებულად გამოყოფილი სივრცე გოგოებისა და ბიჭებისთვის, ხოლო საბავშვო ბაღების ნაწილში (25%) ეს საკითხი მხოლოდ ზოგიერთ ჯგუფშია მოგვარებული.

პრობლემურია უნიტაზების ზომის აღსაზრდელთა ასაკთან შესაბამისობის საკითხიც. კერძოდ, საბავშვო ბაღების დიდ ნაწილში (37.1%), უნიტაზების სიმაღლე საერთოდ არ შეესაბამება აღსაზრდელთა ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო 27.9%-ში, აღნიშნული მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული. მაგალითად, მონიტორინგმა გამოავლინა შემთხვევა, როდესაც აღსაზრდელთა ასაკისთვის შეუფერებელი ზომის უნიტაზზე დამაგრებული იყო ხის დასადგამი მოწყობილობა. აღსანიშნავია ისიც, რომ საბავშვო ბაღების 78%-ის საპირფარეო სივრცეებში საერთოდ არ არის აბაზანა, ხოლო 5.7%-ში - ეს სერვისი მხოლოდ რამდენიმე ჯგუფისთვისაა გათვალისწინებული. ამასთან, პრობლემურია ხელსაბანი ნიჟარების სიმცირეც. კერძოდ, საბავშვო ბაღების 31.4%-ში მათი რაოდენობა აღსაზრდელთა რაოდენობას არ შეესაბამებოდა.

მონიტორინგმა ასევე გამოავლინა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის განკუთვნილი დიდი ზომის უნიტაზი ან თურქული ტიპის ჯამი მოწყობილი იყო აღსაზრდელთათვის განკუთვნილ საპირფარეშოში, განცალკევების და დამოუკიდებელი შესასვლელის გარეშე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის თანახმად, საბავშვო ბაღის ფიზიკური გარემო იმგვარად უნდა იყოს ადაპტირებული, რომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სრულფასოვანი ჩართულობა. მათ შორის, სველი წერტილები ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად უნდა იყოს მოწყობილი.<sup>7</sup> თუმცა მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ საბავშვო ბაღებში, განსაკუთრებით მწვავედ დგას სველი წერტილების მოწყობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების უგულებელყოფის საკითხი. კერძოდ, საბავშვო ბაღების უმრავლესობაში (86%,) სველი წერტილები ხელმისაწვდომი არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის. იმ შემთხვევაშიც, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელისთვის გამოყოფილი იყო ცალკე კაბინა, იქ განთავსებული უნიტაზი ადაპტირებული არ ყოფილა, მაგალითად, არ იყო დამაგრებული შესაბამისი მოაჯირები. ამასთან, როგორც წესი, საბავშვო ბაღის შენობაში მხოლოდ ერთი ადაპტირებული საპირფარეშო იყო, რომელიმე ერთ კონკრეტულ ჯგუფში. შესაბამისად, საბავშვო ბაღს გაუჭირდება სხვადასხვა ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში მიღება, ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში.

### 1.3 ინვენტარი და სათამაშოები


საბავშვო ბაღების გაერთიანებები ყოველწლიური ბიუჯეტისა და საბავშვო ბაღებში არსებული საჭიროებების მიხედვით ადგენენ სამოქმედო გეგმას, რომელშიც საბავშვო ბაღების საჭირო ინვენტარითა და სათამაშოებით უზრუნველყოფის საკითხიც არის გაწერილი. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ საბავშვო ბაღების დიდ ნაწილში არ არის საკმარისი რაოდენობის ავეჯი - მაგიდა, სკამი, საწოლი და კარადა.

*ცხრილი №4*

---

<sup>7</sup> ტექნიკური რეგლამენტის - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის დადგენილება №485, მუხლი 9: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობაში უნდა იყოს განთავსებული არანაკლებ ერთი ტუალეტისა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რომლის მინიმალური ზომები უნდა იყოს 122 × 142 სმ (როცა შესვლა ხდება განივი მხრიდან); 122 × 167 სმ (როცა შესვლა ხდება გრძივი მხრიდან); უნიტაზის სიმაღლე - 45-48 სმ; ეტილიდან უნიტაზზე გადასასვლელად განკუთვნილი მოაჯირების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 90 სმ-ს.

## საბავშვო ბალებში არ არის საკმარისი ინვენტარი




აღსანიშნავია ისიც, რომ შემთხვევათა მნიშვნელოვან ნაწილში (12.6%) არსებული ინვენტარი დაზიანებული იყო და საჭიროებდა განახლებას. პრობლემა ინვენტარის აღსაზრდელთა ასაკსა და საჭიროებებთან შეუსაბამობის საკითხიც. კერძოდ, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პატარა ასაკის აღსაზრდელებს, დიდი ზომის მაგიდებთან მისაწვდომად, ერთმანეთზე დადგმულ ორ სკამზე სვამდნენ. რიგ შემთხვევებში კი, სააღმზრდელო და სასადილო ოთახებში იდგა მძიმე სკამები და მაგიდები მახვილი კიდეებით.

ზემოაღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია (73%) აღსაზრდელების სათამაშოებთან დაკავშირებით. საბავშვო ბალების დიდ ნაწილს არ აქვს საკმარისი რაოდენობის სათამაშო. ხშირად დაწესებულებაში სათამაშოები აღსაზრდელების მშობლებს მოაქვთ, რაც გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით ყველასთვის უფასო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების გარანტირებულ ხელმისაწვდომობას. ეს გარემოება კი, უმრავლეს შემთხვევაში, არ იძლევა სათამაშოს ხარისხისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინების შესაძლებლობას. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ სათამაშოები დროულად და პერიოდულად არ ახლდება. კერძოდ, საბავშვო ბალების 62.9%-ში სათამაშოების განახლება და შევსება ხდება მხოლოდ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. თუმცა დაწესებულებათა აღმზრდელების საგულისხმო ნაწილის (18.5%) განცხადებით, ახალი სათამაშოებიც, უმეტესწილად, უხარისხოა და მალე ზიანდება.

ცხრილი №5

## სათამაშოების რაოდენობა საბავშვო ბაღებში



## 2. კვება

მონიტორინგმა აჩვენა, რომ კვების პროცესს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სათანადო ყურადღება ექცევა. ყველა საბავშვო ბაღს წინასწარ აქვს გაწერილი 10-დღიანი/ორკვირიანი მენიუ, რომელშიც მითითებულია კერძების სპეციალურად შემუშავებული კართოტეკა ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. ამასთან, საბავშვო ბაღების უმრავლესობაში (92.1%), ყოველდღიური მენიუ წინასწარ აქვთ გაწერილი და აღსაზრდელთა მშობლებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოკრული.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკვების მიღებასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან ასარიდებლად, კვების პროცესს ყოველთვის ესწრება აღმზრდელი, თანაშემწესთან, ექთანთან ან საბავშვო ბაღის სხვა თანამშრომელთან ერთად. კვლევის მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ აღსაზრდელების კვების რაციონი მოიცავს ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარებისთვის აუცილებელ პროდუქტებს კვებითი დეფიციტის, სიმსუქნისა და კვებასთან დაკავშირებული ქრონიკული დაავადებების პრევენციის საკითხთა გათვალისწინებით.

საბავშვო ბაღების გაერთიანებების ხელმძღვანელთა გამოკითხვით დადგინდა, რომ მათმა უმრავლესობამ (79.5%) დააფინანსა და ორგანიზება გაუწია ტრენინგებს საბავშვო ბაღის თანამშრომლებისთვის, კვების თემატიკაზე. საბავშვო ბაღის დირექტორთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (91.1%) განაცხადა, რომ კვების საკითხებზე გადამზადება გავლილი აქვთ მზარეულებსა და მათ თანაშემწეებს, ასევე ექთნებს, საბავშვო ბაღის დირექტორებსა და სამნეო ნაწილის ხელმძღვანელებს.

კვების პროცესში გათვალისწინებულია აღსაზრდელო საჭიროებები, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ალერგიული ფონი. აღმზრდელო განცხადებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელებს კვების პროცესში თავად ეხმარებიან საჭიროებისამებრ. კვების პროცესი, რომელსაც აღმზრდელი და მისი თანაშემწე ესწრებიან, დაფუძნებულია საკვების მიღების წახალისებაზე და არა დამალვაზე. ხოლო აღმზრდელებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას როგორც კვების პროცესთან დაკავშირებული სირთულეების, ისე ალერგიული ნიშნების შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მონიტორინგმა ასევე აჩვენა, რომ საბავშვო ბაღების ნაწილში (5.2%) საერთოდ არ არის, ან მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული (16.9%) კვების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საჭიროებები. რამდენიმე შემოწმებული დაწესებულების შემთხვევაში, საკვები თავად აღსაზრდელის მშობელს მიაქვს საბავშვო ბაღში. ამასთან, პირადი ასისტენტის კადრის არარსებობის გამო, გარკვეული სახეობის კერძების, მაგალითად, წვნიანის ჭამისას, მშობელი აკითხავს აღსაზრდელს და ეხმარება კვების პროცესში. საბავშვო ბაღების უმრავლესობაში კვება ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს. ერთეულ შემთხვევებში კი, საჭირო რაოდენობის პერსონალის არარსებობის გამო, საკვების მომზადების პროცესი ყოვნიდება.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ შემოწმებული დაწესებულებებიდან მხოლოდ 2 საბავშვო ბაღში აქვთ იმ საკვები დანამატების სპეციალური ნუსხა, რომელთა გამოყენებაც არ არის რეკომენდებული. გამოკითხულ დირექტორთა 37.6% ამბობს, რომ საერთოდ არ აქვთ ამ თემაზე ინფორმაცია, ხოლო მათი 53.3% აცხადებს, რომ სპეციალური ნუსხა მათთვის არავის მიუწოდებია და მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით იციან, რა სახის პროდუქტი არ უნდა გამოიყენონ.

დადებითად უნდა აღინიშნოს სამზარეულო ბლოკის მოწყობისადმი მუნიციპალიტეტების მხრიდან სათანადო ყურადღების დათმობის ფაქტი. საბავშვო ბაღების უმრავლესობაში, გარკვეული გამონაკლისის გარდა (9.3%), გამოყოფილია სამზარეულო სივრცე, სადაც განცალკევებულია საკვების მოსამზადებელი და სამრეცხაო ზონები. ასევე, 11 შემთხვევის გარდა,<sup>8</sup> ყველა სამზარეულო უზრუნველყოფილია თბილი წყლით. თუმცა პრობლემაა სასაბავშვო ოთახების არარსებობის საკითხი, რის გამოც სასაბავშვო დანიშნულებით სააღმზრდელო ოთახის, კარადებს შორის არსებული გასახდელი ზონის ან დერეფნების გამოყენება უწევთ. სასაბავშვო ოთახის არსებობის შემთხვევაშიც, პრობლემურია მისი აღსაზრდელო რაოდენობისა და ასაკის შესაბამისად მოწყობა. კერძოდ, იქ განთავსებული ინვენტარი ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და დამოუკიდებელი კვების უნარების განვითარებას მხოლოდ შემთხვევათა 75.9%-ში შეესაბამება. რაც შეეხება კვების ბლოკში არსებულ საწყობებს, გამოიკვეთა 39 შემთხვევა, როდესაც საწყობში არ იყო საკმარისი სივრცე და თაროები,

---

<sup>8</sup> მათ შორის, ერთ-ერთ სოფელში, თბილი წყლის არარსებობის გამო, საბავშვო ბაღის თანამშრომლები წყალს სააღმზრდელო ოთახში არსებულ შემის ღუმელზე აცხელებენ. ერთ შემთხვევაში კი, გამათბობლის გაუმართაობის გამო, ვერ ხერხდებოდა სამზარეულოში წყლის სათანადოდ გათბობა.



საერთოდ ან სათანადოდ არ ნიავედებოდა ეს ოთახი, პროდუქტი იატაკზე ეწყო ან მისი შენახვის წესი არ იყო დაცული.

### 3. წყალი, სანიტარია და ჰიგიენა

#### 3.1 წყალი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყალმომარაგებით, მათ შორის, თბილი წყლითა და კანალიზაციის სისტემით. ამასთან, საბავშვო ბაღი უნდა მარაგდებოდეს როგორც სამეურნეო, ისე სასმელი დანიშნულების წყლით, რომლის ვარგისიანობაც შესაბამისი კომპეტენტური სამსახურის მიერ არის შეფასებული.<sup>9</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში არსებული სასმელი წყალი უნდა აკმაყოფილებდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს.<sup>10</sup>

მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა საბავშვო ბაღების როგორც სამეურნეო, ისე სასმელი წყლით უზრუნველყოფისა და წყლის ლაბორატორიული შემოწმების საკითხებზე. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციით, საბავშვო ბაღების უმრავლესობაში (89.5%) ფუნქციონირებს სასმელი და სამეურნეო წყლით მომარაგების ცენტრალური სისტემა. ხოლო დაწესებულებების ნაწილი (5.1%) სათანადოდაა დაცული და შემოწმებული ჭის წყლით მარაგდება.<sup>11</sup> გარდა ამისა, საბავშვო ბაღების სამზარეულოთა უმრავლესობა (93.2%) უზრუნველყოფილია თბილი წყლით. თუმცა საბავშვო ბაღების ნაწილისთვის პრობლემაა სველი წერტილების თბილი წყლით მომარაგება. მაგალითად, ყველა ჯგუფის თბილი წყლით უზრუნველყოფის საკითხი სრულყოფილად

<sup>9</sup> ტექნიკური რეგლამენტის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის დადგენილება №485, მუხლი 8.

<sup>10</sup> სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის დადგენილება №58, მუხლი 2, პუნქტი 1 – „სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ეპიდემიური და რადიაციული თვალსაზრისით, ქიმიური შემადგენლობით - უვნებელი, უნდა ჰქონდეს კეთილსასურველი ორგანულეპტიკური თვისებები“.

<sup>11</sup> ტექნიკური რეგლამენტის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დადგენილება №485, მუხლი 8, პუნქტი 11 - ჭა უნდა იყოს განთავსებული ნებისმიერი დამაბინძურებელი წყაროდან არანაკლებ 30 მეტრის მოშორებით; ჭიდან 100 მეტრის რადიუსში დაუშვებელია პესტიციდების გამოყენება; მუდმივად უნდა ხდებოდეს ჭის სტრუქტურული მთლიანობის შემოწმება; უნდა იყოს დაცული ცხოველებისგან; უნდა ჰქონდეს სადრენაჟო სისტემა; წყლის ამოსადები ვედრო უნდა იყოს სუფთა, ხოლო თავად ჭა - გადახურული.



არ იყო მოწესრიგებული საბავშვო ბაღების 25%-ში, ხოლო მათ 5%-ს თბილი წყალი საერთოდ არ მიეწოდებოდა.

მონიტორინგისას გამოვლენილ იმ რამდენიმე საბავშვო ბაღს (4.4%), რომელთაც თავად არ აქვთ სასმელად ვარგისი წყალი, საბავშვო ბაღების გაერთიანებები ამარაგებს. თუმცა ერთ შემთხვევაში, თანამშრომლები იძულებული იყვნენ, ადუღებული წყალი გამოეყენებინათ, რადგან მათი განცხადებით, შენობაში არსებული წყალი სასმელად უვარგისია, ხოლო საბავშვო ბაღების გაერთიანება მათ წყლით არ ამარაგებს.<sup>12</sup>

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბავშვო ბაღების გაერთიანებები თავად უზრუნველყოფენ წყლის სასმელად ვარგისიანობის შემოწმებას წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლებამდე. დირექტორთა აბსოლუტური უმრავლესობა მიუთითებს, რომ სასმელი დანიშნულების წყლის უვნებლობა შეფასებულია (97%) და საბუთი საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინახება.

სასმელი წყლის უვნებლობის შესახებ ლაბორატორიული შემოწმების დოკუმენტების მიხედვით, საბავშვო ბაღებში სასმელი წყლის ვარგისიანობა განსხვავებულად მოწმდება. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ლაბორატორიული ანალიზის შესახებ დოკუმენტის თანახმად, წყალი არ იყო შემოწმებული რამდენიმე ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელზე, როგორც არის, მაგალითად, ბაქტერია E.coli. ამ მხრივ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებებს არ აქვთ ერთიანი მიდგომა და არ არიან ზუსტად ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რა მონაცემებით უნდა შემოწმდეს სასმელი წყალი. სხვაობა განსაკუთრებით დიდია ქალაქისა და სოფლის საბავშვო ბაღებს შორის.<sup>13</sup> ამასთან, საბავშვო ბაღების ნაწილი (35.1%) საჭიროდ მიიჩნევს მუნიციპალიტეტის მხრიდან სათანადო რესურსების გამოყოფას წყალმომარაგების სისტემისა და ინვენტარის გასაუმჯობესებლად.

### 3.2 სანიტარია-ჰიგიენა

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დაცული უნდა იყოს სანიტარია და ჰიგიენა. კერძოდ, შენობის პერიმეტრი ყოველდღიურად უნდა სუფთავდებოდეს. საბავშვო ბაღის შიდა რეგულაციით უნდა იყოს გაწერილი თოთოეული ბლოკის დასუფთავების სიხშირე და ფორმა. მონიტორინგისას საბავშვო ბაღის თანამშრომელთა გამოკითხვით გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სააღმზრდელო ოთახების, კვების ბლოკისა

<sup>12</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანას საბავშვო ბაღი.

<sup>13</sup> სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის დადგენილება №58, მუხლი 3, პუნქტი 9 - რუტინული მონიტორინგის მიზნით, ლაბორატორიული კვლევები უნდა განხორციელდეს ორგანულეპტიკურ (სუნი, გემო, ფერიანობა, სიმღვრივე), მიკრობიოლოგიურ (მეზოფილური აერობები, ფაკულტატიური ანაერობები, საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, E.coli) და ქიმიურ (PH, აზოტისფორმები (ამიაკი, ნიტრატი, ნიტრიტი), ქლორიდები, ჟანგვადობა, ნარჩენი ქლორი) მაჩვენებლებზე.

და ეზოს დასუფთავებას. გამოკითხულთა 32.8%-ის განმარტებით, საბავშვო ბაღის შენობა ყოველკვირეულად გენერალურად სუფთავდება. ამასთან, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის (95.1%) განცხადებით, სააღმზრდელო ოთახები სუფთავდება ყოველდღიურად, რაზეც ვიზუალური დათვალიერების შედეგებიც მეტყველებს. ყოველდღიურად ან დღეში რამდენჯერმე სუფთავდება სამზარეულოც. საბავშვო ბაღის ეზოც, გამოკითხულთა უმრავლესობის (66.2%) თანახმად, ყოველდღიურად სუფთავდება.

თუმცა ზოგიერთ საბავშვო ბაღში, დასუფთავების სიხშირე და ვადები მაინც პრობლემურია. მაგალითად, 24 საბავშვო ბაღი შენობის გენერალურ დასუფთავებას მხოლოდ წელიწადში ორჯერ ახორციელებს. ხოლო საბავშვო ბაღების ნაწილი (4.4%) მხოლოდ კვირაში ერთხელ ასუფთავებს სააღმზრდელო ოთახს. ამასთან, მონიტორინგის დროს, რამდენიმე შემთხვევაში, სამზარეულო ოთახში უსუფთაობა იყო და არც ოთახის კედლები იყო მოპირკეთებული სველი წესით დამუშავებისთვის განკუთვნილი მასალით.<sup>14</sup> ჭურჭლის შენახვის წესი მხოლოდ 59.6%-ში იყო დაცული, კერძოდ, მოთავსებული იყო სპეციალურ თაროებზე, წვრილი ინვენტარი კი, კარადაში იყო შეწყობილი. ამასთან, საბავშვო ბაღების უმრავლესობაში (84.8%) თეთრეულს კვირაში ერთხელ, ან ორ კვირაში ერთხელ (15.2%) რეცხავენ. ლეიბებს და მატრასებს, ძირითადად, თვეში ერთხელ ან თვეში რამდენჯერმე წმენდენ, დაწესებულებების 5.7% კი, მხოლოდ წელიწადში ერთხელ.<sup>15</sup>

სათამაშოების დასუფთავების პროცესთან და სიხშირესთან დაკავშირებით, დაწესებულებებში არ არის ერთიანი, რეგლამენტის შესაბამისი მიდგომა. როგორც წესი, ისინი კვირაში ერთხელ (61.2%) ან ორ კვირაში ერთხელ (7%) სუფთავდება სპეციალური ხსნარით, ქლორით ან სარეცხი საშუალებით. თუმცა გამოვლინდა სათამაშოების მხოლოდ თვეში ერთხელ (4.7%) ან წელიწადში ერთხელ (1.2%) დასუფთავების შემთხვევებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ საბავშვო ბაღში არასათანადო პირობების გამო, აღმზრდელს, მის თანაშემწეს ან დამლაგებელს სათამაშოები დასასუფთავებლად სახლში მიაქვთ (საბავშვო ბაღების 4.7%). დასუფთავების სიხშირისა და წესის რეგულირება განსაკუთრებით

---

<sup>14</sup> ტექნიკური რეგლამენტის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დადგენილება №485, მუხლი 6 - მთელი შენობის გენერალური დასუფთავება უნდა ხდებოდეს ყოველთვიურად; დალაგება-დასუფთავება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად, სველი წესით, ღია ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში. იატაკი უნდა ირეცხებოდეს დღეში ორჯერ.

<sup>15</sup> ტექნიკური რეგლამენტის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დადგენილება №485, მუხლი 6, პუნქტი 6 - მთელი თეთრეული უნდა იყოს მარკირებული. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკმარისი რაოდენობის თეთრეული. ლოგინის თეთრეულის გამოცვლა უნდა ხდებოდეს დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ. სუფთა და ჭუჭყიანი თეთრეული უნდა ინახებოდეს ერთმანეთისგან განცალკევებით. წელიწადში ერთხელ ლოგინს (ბალიში, ლეიბი, მატრასი) უნდა ჩაუტარდეს ქიმიური წმენდა.

პრობლემურია იმ სათამაშოებთან დაკავშირებით, რომლებიც ბავშვებს სახლიდან მოაქვთ. მათ თავად მშობლები ასუფთავებენ.<sup>16</sup>

საბავშვო ბაღის თანამშრომელთა განცხადებით, სადეზინფექციო საშუალებებით ოთახები მხოლოდ მაშინ სუფთავდება, როდესაც აღსაზრდელები შენობაში არ იმყოფებიან. თუმცა, მონიტორინგისას გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საპირფარეოში ქლორის მძაფრი სუნი იდგა. აღსანიშნავია ისიც, რომ საპირფარეოების აბსოლუტურ უმრავლესობაში არ არის დაცული საპირფარეოს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის შენახვის წესი. კერძოდ, საწმენდი და სახეხი საშუალებები, როგორც წესი, აღსაზრდელთა უნიტაზის გვერდით არის მოთავსებული. ხოლო, დაწესებულებების 37%-ში არც სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახებოდა სათანადოდ განკუთვნილ მუქი ფერის ჭურჭელში და ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.<sup>17</sup>

საბავშვო ბაღების უმრავლესობაში, ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ ახლომდებარე ურნაში. ამასთან, ერთეული გამონაკლისების გარდა, საბავშვო ბაღის ყველა ოთახში აგროვებენ მყარ საკვების ნარჩენებს და დღის ბოლოს შენობიდან გააქვთ. დაწესებულების სანაგვე ურნები მინიმუმ თვეში ერთხელ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ერთი შემთხვევა, როდესაც ნაგვის ურნა საბავშვო ბაღთან არ იყო განთავსებული. ამ ბაღის თანამშრომლები ნარჩენებს ეზოში არსებულ სათავსო ოთახში ინახავენ, კვირის ბოლოს კი, დაგროვილი ნარჩენები დასუფთავების სამსახურის მანქანას მიაქვს. რამდენიმე შემოწმებული დაწესებულების შემთხვევაში, სანაგვე ურნის არარსებობის გამო, ნაგავს ახლომდებარე ხევში ყრიან ან წვავენ.<sup>18</sup>

---

<sup>16</sup> ტექნიკური რეგლამენტის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის დადგენილება №485, მუხლი 6 - ახლად შექმნილი სათამაშოები (რბილის გარდა), სანამ სათამაშოდ გადაეცემათ ბავშვებს, უნდა ირეცხებოდეს 15 წუთის განმავლობაში, 370 C-ის ტემპერატურის წყლითა და საპნით, შემდეგ კი უნდა გაშრეს ჰაერზე. ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისათვის განკუთვნილი სათამაშოები უნდა ირეცხებოდეს ყოველდღიურად წყლით, ჯაგრისით, საპნით ან 2%-იანი სასმელი სოდის ხსნარით, ხოლო სკოლამდელი ასაკის (2 წლის ზევით) ბავშვების სათამაშოები უნდა ირეცხებოდეს ყოველ მეორე დღეს. თოჯინების ტანსაცმელი უნდა გაირეცხოს გაჭუჭყიანების მიხედვით.

<sup>17</sup> ტექნიკური რეგლამენტის - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის დადგენილება №485, მუხლი 6 - ტუალეტის დასალაგებელი ინვენტარი მარკირებული უნდა იყოს და ინახებოდეს სპეციალურ კარადაში ტუალეტის სიახლოვეს. სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები უნდა ინახებოდეს მუქი ფერის ჭურჭელში, ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას. დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსო/კარადაში.

<sup>18</sup> ტექნიკური რეგლამენტის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის დადგენილება №485, მუხლი 6, პუნქტი 12 - მოგროვებული ნაგავი უნდა ჩაიყაროს ნაგვის კონტეინერებში. კანალიზაციის გაყვანილობის არარსებობისას, ორმოები და ნაგვის ყუთები უნდა გაიწმინდოს 2/3-მდე შევსებამდე და ყოველდღიურად დამუშავდეს 10%-იანი ქლორის ხსნარით, ხოლო კვირაში ერთხელ უნდა მოიყაროს მშრალი ქლორი (1 კგ 1 მ2-ზე).

სანიტარია-ჰიგიენის საკითხებს სათანადო ყურადღება ექცევა საბავშვო ბაღის თანამშრომელთა ტრენინგების თემატიკის შერჩევისას. კერძოდ, საბავშვო ბაღების გაერთიანებათა 85.7%-მა დააფინანსა და უზრუნველყო საბავშვო ბაღის თანამშრომელთა მიერ, სანიტარია-ჰიგიენის თემაზე ტრენინგის გავლა. საბავშვო ბაღების დირექტორთა 91.9%-ის განცხადებით კი, დაწესებულებათა თანამშრომლებმა, უმეტეს შემთხვევაში, ექთნებმა, გაიარეს სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე გადამზადება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თემატიკის ტრენინგს ხშირად მწე, აღმზრდელის თანაშემწეები, დამლაგებლები და თავად საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებიც გადიან.

#### 4. ჯანდაცვა

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვა, მათ შორის, უნდა ჰქონდეს მკაფიოდ გაწერილი პროცედურები აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. ამასთან, უშუალოდ აღსაზრდელებთან მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის სერტიფიკატი. ამასთან, საბავშვო ბაღს უნდა ჰქონდეს დაავადებების გავრცელების პრევენციის მექანიზმი.<sup>19</sup> სწორედ აღნიშნულ მაჩვენებლებზე გამახვილდა ყურადღება მონიტორინგის პროცესში. კერძოდ, შვეისწავლეთ ჯანდაცვის საკითხებზე მომუშავე კადრების არსებობის, მათი გადამზადების, ბავშვის ჯანმრთელობის ცნობის, ჯანდაცვის ყუთისა და აღსაზრდელთათვის მედიკამენტების მიწოდების რეგულაციის საკითხები.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბავშვო ბაღების უმრავლესობაში (86.5%) მუშაობს სამედიცინო პერსონალი - ექიმი ან ექთანი. იმ საბავშვო ბაღებს კი, სადაც არ მუშაობს სამედიცინო პერსონალი, საბავშვო ბაღების გაერთიანების კადრები ემსახურებიან, მათ შორის, ჯანმრთელობის ცნობების მიღების, ჰიგიენის დაცვის და სხვა ნებისმიერ საკითხთან მიმართებით, რის შესახებაც საბავშვო ბაღის დირექტორები, მათივე განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავენ. ამასთან, საბავშვო ბაღის აღმზრდელის უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ იციან, როგორ უნდა აღმოუჩინონ აღსაზრდელებს პირველადი დახმარება. თუმცა, აღმზრდელთა უმეტესობა (54%) მომხდარის შესახებ პირველ რიგში მშობელს ატყობინებს, ხოლო მათი დიდი ნაწილი (48.4%) ყველა შემთხვევაში იძახებს 112-ს. ამასთან, დაწესებულებების 32.6%-ს ერთხელ მაინც ჰყავს გამოძახებული 112 და გამოკითხულ დირექტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი (27.6%) ასევე მიუთითებს 112-ის დახმარებაზე წვდომის პრობლემაზე, კერძოდ, სასწრაფო დახმარების მანქანის გვიან მისვლაზე.

საბავშვო ბაღში მიღებისას აუცილებელია ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა. ეს ცნობები საბავშვო ბაღში ან საბავშვო ბაღების გაერთიანებაში იწახება. მიუხედავად ამისა, მონიტორინგისას გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც საბავშვო ბაღის დირექტორი მშობლებს არ ავალდებულებდა ჯანმრთელობის ცნობის მიტანას, რასაც იმით ხსნიდა, რომ ჯანმრთელობის ცნობის აღება, რომელიც გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული, უჭირდათ ეკონომიკური სირთულეების მქონე იმ ოჯახებს,

<sup>19</sup> ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017 წ. მუხლი 13.

რომლებსაც სოციალურად დაუცველის სტატუსი არ ჰქონდათ. ამასთან, საბავშვო ბაღების პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობის ცნობა არ იძლევა საჭირო ინფორმაციას აღსაზრდელის ჯანმრთელობის შესახებ, მაგალითად, ბავშვის კვებითი ალერგიის ან განსაკუთრებული საჭიროების შესახებ. ამასთან, საბავშვო ბაღების 22.4%-ში გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აღსაზრდელის მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო მისი ჯანმრთელობის რაიმე პრობლემის შესახებ არც ცნობაში იყო მითითებული და არც მშობელს უცნობებია.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საბავშვო ბაღების უმრავლესობაში ექთანი ყოველდღიურად ან დღეგამოშვებით ამოწმებს აღსაზრდელებს დატილიანების და ვირუსულ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, დირექტორთა განცხადებით, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დილით, საბავშვო ბაღში გამოცხადებამდე, ბავშვს მიღებული ჰქონდა სიცხის დამწვევი საშუალება, შესაბამისად, ექთნის შემოწმებისას რაიმე სიმპტომი არ აღენიშნებოდა. ასეთ შემთხვევაში, მშობლის არგუმენტი ისარის, რომ მუშაობს და ბავშვს სახლში მარტო ვერ ტოვებს.

საბავშვო ბაღების მხოლოდ მცირე ნაწილში (37.6%) ჰყავთ ფსიქოლოგი, ხოლო 31.2% - ლოგოპედი. უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული სპეციალისტები, როგორც წესი, ჰყავთ საბავშვო ბაღების გაერთიანებებს, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში მიავლენენ კონკრეტულ საბავშვო ბაღში, რაც აბრკოლებს აღსაზრდელთან ინდივიდუალური და რეგულარული მუშაობის შესაძლებლობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოწმებული საბავშვო ბაღების ნაწილში (34%), ირიცხებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელები, თუმცა დაწესებულებების მხოლოდ 14.2%-ში იყო სპეციალური პედაგოგის კადრი. შესაბამისად, საბავშვო ბაღების ნაწილში, ფიზიკურ გარემოსთან ერთად, პრობლემურია ისიც, რომ აღსაზრდელები ვერ იღებენ მათი საჭიროებების შესაბამის ინდივიდუალურ მიდგომას, რაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობაზე, უარყოფითად აისახება. ამაზე მიუთითებს იმ საბავშვო ბაღების მცირე რიცხვიც, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე აღსაზრდელები ირიცხებიან.

საგულისხმოა ისიც, რომ თბილისის რამდენიმე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ საბავშვო ბაღში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელებისთვის, გამოყოფილია შესაბამისი სათამაშოებითა და ინვენტარით აღჭურვილი ოთახი, სადაც აღსაზრდელები გარკვეულ დროს ატარებენ და სპეციალურ პედაგოგს შეუძლია მათთან ინდივიდუალური მუშაობა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საბავშვო ბაღების უმრავლესობა (83.2%) უზრუნველყოფილია პირველადი ჯანდაცვის ყუთით და ნივთებით. თუმცა მონიტორინგისას ასევე გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აღსაზრდელებს ან ექთნებს საკუთარი სახსრებით უწევთ პირველადი ჯანდაცვის ნივთების შეძენა.

აღსაზრდელებისათვის (მათ შორის, სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ბავშვის შემთხვევაში) წამლის მიწოდების წესი<sup>20</sup> დაცულია სკოლამდელი დაწესებულებების აბსოლუტურ უმრავლესობაში (მიუთითებს დამკვირვებლების 90.5%). გამოკითხვისას აღმზრდელებმა აღნიშნეს, რომ ბავშვის ავადმყოფობის, მაგალითად, მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში, მშობელთან კონსულტაციის გარეშე ბავშვს მედიკამენტს არ აძლევენ. საბავშვო ბაღის პერსონალი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება სპეციფიკური ჯანმრთელობის მქონე ბავშვისთვის ექიმის დანიშნული მედიკამენტის მიწოდების საკითხსაც. აღნიშნული მედიკამენტი ინახება ცალკე, მითითებული აქვს აღსაზრდელის სახელი და ბავშვისთვის მის მიწოდებას ექთანი არეგულირებს. მონიტორინგისას იყო შემთხვევები, როდესაც ქრონიკულად მოავადე აღსაზრდელს სკოლამდელ დაწესებულებაში ახლდა ექთანი ან დიეტოლოგი. ისინი არეგულირებდნენ აღსაზრდელის მიერ საჭირო მედიკამენტისა და სათანადო საკვები პროდუქტის მიღებას.

## 5. ბავშვთა მიმართ ძალადობა

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები უნდა უზრუნველყოფდნენ თითოეული აღსაზრდელისთვის არამალადობრივ და არადისკრიმინაციულ გარემოს. დაწესებულების თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ ძალადობის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის, ფიზიკური, ემოციური, სექსუალური ძალადობის, უგულვებლყოფის ნიშნების ამოცნობა. ამასთან, დაწესებულებაში გაწერილი უნდა იყოს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში განსახორციელებელი მოქმედებები. ხოლო, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა უნდა იმოქმედონ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად.<sup>21</sup>

ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით, საბავშვო ბაღებში ძალადობის შემთხვევათა მართვისა და პრევენციის კუთხით არსებული რეგულაციების მონიტორინგი ჩატარდა. კერძოდ, რა მეთოდებით ხელმძღვანელობენ აღმზრდელები ბავშვებს შორის ძალადობის პრევენციისა და მასზე სათანადო რეაგირების მიზნით.

გამოკითხულ აღმზრდელთა დიდი ნაწილი (68.1%) აღნიშნავს, რომ ბავშვებს შორის ძალადობის თავიდან ასაცილებლად ყველაზე ეფექტიან საშუალებად და პოზიტიური აღზრდის მეთოდად აღსაზრდელებთან საუბარს და მათ დარიგებას მიიჩნევენ, ხოლო 21.4% უპირატესობას ანიჭებს თემატური მოთხრობების კითხვას, ფილმების ჩვენებას, თამაშსა და იგავ-არაკების განხილვას. რამდენიმე საბავშვო ბაღი ძალადობის პრევენციულ ღონისძიებად ასევე მიიჩნევენ აღსაზრდელთა

<sup>20</sup> ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017 წ. მუხლი 2 - დაწესებულებაში არსებობს გაწერილი პროცედურები ბავშვისთვის მედიკამენტის მიღების საჭიროების შემთხვევაში. დაწესებულებაში ინახება თითოეული ბავშვის ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი.


<sup>21</sup> ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017 წ. მუხლი 13.



მშობლებთან მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღების უმრავლესობაში არსებობს წინასწარ შემუშავებული მიდგომა, კერძოდ, რა ღონისძიებები უნდა განახორციელონ და ვის მიმართონ ძალადობის შემთხვევაში, და რამდენიმე საბავშვო ბაღში გამოყოფილიც კი ჰყავთ აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელი პირი, მონიტორინგისას ასევე გამოვლინდა რამდენიმე საბავშვო ბაღი, სადაც ამ საკითხებზე კონკრეტული შიდა სამოქმედო ინსტრუქციები არ ჰქონიათ.

აღსაზრდელების მიმართ რაიმე ფორმით ძალადობის ექვის შემთხვევაში, სათანადო რეაგირების მიზნით, აღმზრდელთა ყველაზე დიდი ხვედრითი წილი საბავშვო ბაღის ადმინისტრაციას მიმართავს. გაცილებით მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ თავადვე მიმართავდა სოციალურ მუშაკს, შეატყობინებდა მშობელს ან 112-ის ცხელ ხაზზე დარეკავდა.<sup>22</sup>

*ცხრილი №6*



აღმზრდელების აბსოლუტური უმრავლესობა (94.9%) აცხადებს, რომ არასდროს შეუნიშნავს ბავშვის მიმართ რაიმე ფორმით ძალადობის შემთხვევა, რაც, წესით, დადებითი მაჩვენებელი უნდა იყოს. თუმცა, სავარაუდოდ, ასეთი მაღალი მაჩვენებელი აღმზრდელებისა და საბავშვო ბაღის სხვა თანამშრომლების მიერ ძალადობის სხვადასხვა ფორმის შეფასებისა და გამოვლენის უნარ-ჩვევის ნაკლებობითაც არის განპირობებული. ეს წარმოშობს რისკსაც, რომ აღსაზრდელი, შესაძლოა, თავად საბავშვო ბაღის პერსონალისგან გახდეს რაიმე ფორმით ძალადობის მსხვერპლი. ხოლო გამოვლენილი ძალადობის შემთხვევებიდან, რომელთა რაოდენობა ძალიან მცირეა (5.1%),

<sup>22</sup> ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017 წ. მუხლი 20, პუნქტი 2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის, მუხლი 6, პუნქტი 4 - დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ძალადობის თავიდან აცილება, იდენტიფიცირება და მასზე შესაბამისი რეაგირება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეგულირების) პროცედურების შესაბამისად. პუნქტი 6 - დაწესებულება ვალდებულია გამოყოს ბავშვთა ძალადობისგან დაცვისთვის პასუხისმგებელი პირი.

ყველა ფიზიკური ძალადობის ფორმას მიეკუთვნება, რომელთა გამოვლენა მარტივად შეიძლება აღსაზრდელის ფიზიკური დათვალერების შედეგადაც. საგულისხმოა ისიც, რომ საბავშვო ბაღის თანამშრომელთა მიერ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში, აღსაზრდელზე ოჯახის წევრმა იძალადა, ხოლო საბავშვო ბაღის თანამშრომლის მხრიდან აღსაზრდელზე ძალადობის ეჭვის მხოლოდ ერთი შემთხვევა გამოვლინდა, რის საფუძველზეც, ეს თანამშრომელი გაათავისუფლეს სამსახურიდან. ეჭვს ამყარებს ისიც, რომ გამოკითხულ აღმზრდელთაგან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა განაცხადა, რომ გავლილი აქვს გადამზადება ძალადობის საკითხებზე. ამასთან, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებაც, გამოკითხულ დირექტორთა მხოლოდ მცირე ნაწილია (12.9%) ინფორმირებული.

მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, საბავშვო ბაღებში ბავშვთა მიმართ ძალადობის აღკვეთის მიზნით, მხოლოდ რამდენიმე საბავშვო ბაღს ჰყავს (9) გამოყოფილი ძალადობის საკითხებზე მომუშავე პირი, რომელიც ასევე უზრუნველყოფს თანამშრომელთა გადამზადებას და ამ თემებზე მათ სათანადო ინფორმირებას. უმრავლეს შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებლობას თავად საბავშვო ბაღის დირექტორი იღებს. ძალადობის თემაზე გადამზადება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია აღმზრდელებისთვის, რათა ფლობდნენ ინფორმაციას როგორც პოზიტიური დისციპლინის მეთოდების შესახებ, ასევე, მცირეწლოვნებზე დაკვირვებით შეეძლოთ ძალადობის ფაქტის გამოვლენა და კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გატარება.

ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებზე საბავშვო ბაღის ყველა თანამშრომლის, განსაკუთრებით კი, აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების გადამზადების აუცილებლობაზე მიუთითებს საბავშვო ბაღების გაერთიანებათა წარმომადგენლების აბსოლუტური უმრავლესობაც (97.7%). თუმცა გაერთიანებათა მხოლოდ ნახევარმა (52.3%) დააფინანსა და ორგანიზება გაუწია შესაბამის ტრენინგებს და აღნიშნულ შემთხვევაშიც, გადამზადება გაიარეს არა აღმზრდელებმა და მათმა თანაშემწეებმა, არამედ, ძირითადად, მეთოდისტებმა და საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებმა, რომლებიც დირექტორთა განცხადებით, შემდგომ ეწევიან საბავშვო ბაღის სხვა თანამშრომლების, მათ შორის, აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების ინფორმირებას, რაც მათ შორის პოზიტიური აღზრდის უნარ-ჩვევებისა და ძალადობის შემთხვევების გამოსავლენად საჭირო უნარების განვითარებისთვის ნაკლებად ეფექტიანია. ტრენინგების ორგანიზება საბავშვო ბაღის გაერთიანებებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს უკავშირდება და მიუთითებს, რომ ამ ეტაპზე ამგვარი გადამზადების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტების პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

## 6. ადამიანური რესურსები

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დაწესებულების თანამშრომლების ფიზიკური და ემოციური დაცულობა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების



დაცვა.<sup>23</sup> საბავშვო ბაღში სააღმზრდელო პროცესის ხარისხის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის, ძალადობის პრევენციისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, აუცილებელია საბავშვო ბაღის პერსონალის გადამზადება, მათი პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა.<sup>24</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის ფარგლებში შევისწავლეთ საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა სამუშაო გარემო პირობები და პროფესიული გადამზადების საკითხი, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, აიმაღლონ კვალიფიკაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის, რთული ქცევის მართვისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საჭიროებების თემატიკაზე, მათმა ყველაზე დიდმა ნაწილმა (50.2%) გადამზადება მხოლოდ სააღმზრდელო მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით გაიარა, უფრო ნაკლებმა (29.1%) კი, ინკლუზიური განათლების, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის, ძალადობისა და რთული ქცევის მართვის საკითხებზე. აღმზრდელთა ნაწილს (8.7%) საბავშვო ბაღში მუშაობის განმავლობაში, საერთოდ არ გაუვლია რაიმე სახის გადამზადება.

იქიდან გამომდინარე, რომ საბავშვო ბაღების გაერთიანებების მხრიდან ნაკლებად ხდება უშუალოდ აღმზრდელების გადამზადების ორგანიზება, რომელიმე კონკრეტულ თემაზე კვალიფიკაციის ამაღლების სურვილის შემთხვევაში, მათ თავად უწევთ ტრენინგის მოძიება და მისი საფასურის გადახდა, რაც, აღმზრდელთა მცირე ანაზღაურების გათვალისწინებით, მეტად რთულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების ოდენობა საგულისხმოდ განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით და ხშირად არ შეესაბამება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობას.

პრობლემურია საბავშვო ბაღის თანამშრომელთა ფიზიკური გარემოს მოწესრიგების საკითხიც, რაც გარკვეულწილად აფერხებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულფასოვან მიმდინარეობას. მაგალითად, ბაღების მხოლოდ 77.3%-ს აქვს პერსონალისთვის გამოყოფილი ცალკე სველი წერტილი, რომელთაგან 9.9%-ში, საპირფარეო შენობის გარეთ, ხშირად მოშორებით არის განთავსებული და არ არის უზრუნველყოფილი ხელსაბანი ნიჟართა და წყლით. რამდენიმე საბავშვო ბაღში კი, პერსონალისთვის საერთოდ არ არის გათვალისწინებული სველი წერტილი, რის გამოც მათ ახლოს მდებარე სკოლაში, რომელიმე სხვა დაწესებულებაში თუ სახლში უხდებათ წასვლა, რაც აღმზრდელებისთვის სველი წერტილით სარგებლობას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის, რადგან ხანგრძლივი დროით აღსაზრდელებს მარტო ვერ ტოვებენ.

პრობლემურია საბავშვო ბაღის თანამშრომელთათვის სათავსოს და სასადილო სივრცის გამოყოფის საკითხიც. მაგალითად, საბავშვო ბაღების უმრავლესობაში (64.1%) არ არის თანამშრომელთათვის განკუთვნილი სათავსოები და ერთეული გამონაკლისის გარდა, მათთვის არც სასადილო სივრცეა

<sup>23</sup> ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017 წ. მუხლი 6, მუხლი 13.

<sup>24</sup> ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017 წ. მუხლი 6, მუხლი 6(3), 10(3)(ბ).

გათვალისწინებული, რის გამოც საბავშვო ბაღის თანამშრომლებისთვის, განსაკუთრებით კი აღმზრდელებისთვის, პრობლემაა სამუშაო პერიოდში საკვების მიღება.

საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან, განსაკუთრებით კი აღმზრდელებთან, აღმზრდელთა თანაშემწეებთან და ძიძებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში, მათი ფუნქციები არ შეესაბამება მათსავე პოზიციას. აღმზრდელთა თანაშემწეებსა და ძიძებს დამლაგებლის ფუნქციის შესრულება უხდებათ. ისინი ალაგებენ სააღმზრდელო ოთახებსა და საძინებლებს, წმენდენ სათამაშოებს, რეცხავენ ჭურჭელს და ხშირად თეთრეულსაც. ამ მიზეზით, აღმზრდელის თანაშემწეები და ძიძები ვერ ერთვებიან სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში და აღმზრდელი, სააღმზრდელო პროცესში, ფაქტობრივად, მარტო რჩება აღსაზრდელებთან, რაც საბოლოო ჯამში, ბავშვების აღზრდისა და განათლების ხარისხზე უარყოფითად აისახება.

## დასკვნა

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საბავშვო ბაღებში კვლავ გამოწვევად რჩება არა მხოლოდ სახელმწიფოში არსებული სტანდარტების შესაბამისი, არამედ, იმგვარი ფიზიკური გარემოს შექმნაც, სადაც შესაძლებელი იქნება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებელი და სრულფასოვანი მიმდინარეობა.

საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისა და თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტები პრიორიტეტს ანიჭებენ საბავშვო ბაღებში კვების ბლოკისა და საწყობების სათანადოდ ინვენტარიზაციასა და კვების რაციონის არსებული მოთხოვნების შესაბამისად შევსებას. თუმცა, გამოწვევად რჩება სხვა დანიშნულების ოთახებში არასაკმარისი სივრცისა და აღსაზრდელთა რაოდენობისა და ასაკის შესაბამისი ინვენტარის საკითხი. პრობლემურია ასევე, საბავშვო ბაღების საჭირო სათამაშოებით უზრუნველყოფაც.

საბავშვო ბაღების დირექტორებთან, აღმზრდელებთან და საბავშვო ბაღის გაერთიანებათა ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე საბავშვო ბაღის თანამშრომელთა გადამზადება ძირითადად კვებისა და სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე ხდება. ხოლო ისეთ თემებზე, როგორცაა, მაგალითად, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა, რთული ქცევის მართვა, ბავშვთა მიმართ ძალადობა, ბავშვის განვითარების სფეროები და ზოგადი თემატური მიმართულებები, აღმზრდელთა გადამზადება, მათი დიდი სურვილის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება.

ზემოაღნიშნული გამოწვევები უარყოფითად აისახება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობაზე, აფერხებს აღსაზრდელთა მრავალმხრივ განვითარებას და ართულებს მათი საუკეთესო ინტერესების დაცვას, რაც, თავის მხრივ, აბრკოლებს მცირეწლოვნების უფლებას, მიიღონ სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდა და განათლება.

## რეკომენდაციები

### ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები, ინფრასტრუქტურულად და ფუნქციურად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოეწყოს, საბავშვო ბაღების ეზოები კი - აღსაზრდელთა განვითარებისა და დასვენებისთვის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით.
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები საჭიროებისამებრ, რეგულარულად მარაგდებოდეს ინვენტარით, საბავშვო წიგნებითა და სათამაშოებით.
- ჩატარდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პერიოდული მონიტორინგი. შეფასდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი. საჭიროების შემთხვევაში, ყოველწლიურ ბიუჯეტში გაითვალისწინონ ტრანსპორტირების ხარჯები.
- შეფასდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ადამიანური რესურსების არსებულ კონტიგენტთან პროპორციულობა და საჭიროების შემთხვევაში, გაიზარდოს. ყველა საბავშვო ბაღი, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყონ ექთნის, ლოგოპედის და ფსიქოლოგის სერვისით.
- გაიზარდოს და მუნიციპალიტეტებს შორის დაბალანსდეს საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ანაზღაურება.
- უზრუნველყონ საბავშვო ბაღში დასაქმებული ყველა თანამშრომლის უწყვეტი პროფესიული განვითარება. მათ შორის, საბავშვო ბაღის თანამშრომელთა ინფორმირება რეფერირების პროცედურის, სკოლამდელ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებისა და ბავშვის უფლებათა შესახებ.
- შემუშავდეს საბავშვო ბაღის როგორც ფიზიკური გარემოს, ისე სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ორიენტირებული იქნება არა დასჯაზე, არამედ საბავშვო ბაღების მხარდაჭერასა და განვითარებაზე. კერძოდ, გაიწეროს რეგულარული მონიტორინგის განრიგი, რომლის შედეგადაც მიღებული ინფორმაცია აღირიცხება შესაბამის ელექტრონულ ბაზაში, გამოკვეთილი დარღვევები კი განმეორებით გადამოწმდება.

### საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის შემუშავდეს დოკუმენტი წყლის ვარგისიანობის შემოწმების წესისა და მისი პერიოდულობის განსაზღვრის შესახებ, ამ საკითხთან მიმართებით ერთიანი სტანდარტის დასაწერგად.